გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს თავისუფლ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. Тифлис, ред „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА'' ІосифуИмедашвили

1918 წ. № 11 კვირა, ივლისის 28 ფასი 1 მან. წელიწადი მეექვსე გამოცემის

ჩ ვ ე ნ ი გ მ ი რ ე ბ ი

პოლკ. იოს გედევანიშვილი. ქართულ პარტიზანულ პოლკის უფროსი, დარიალის ხეობაში სასახელოდ და გმირულად მებრძოლი საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

გენერ. გიორგი ვან. მაზნიაშვილი
ბალშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი სოხუმის ოლქში სადაც სასახელოდ მოქმედებს და საქართველოს მტრებს სასტიკად ამარცხებს.

ვალიკო ჯუღელი
სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი და გვარდიის ხელმძღვანელი, რევოლიუციის და დემოკრატიის ერთი სასახელო მოღ.

* * *

მამედ'ეკ აბაშიძე
ქართველი მჰამადიანი მოღვაწე-მწერალი, საქართველოს მომხრეობის გამო ოსმალებმა დატყვევეს, და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს სიდანაც ივლ. 12 გამოიქცა

ქართველის გულში ვერ ჩააქრობთ მომავალის წმინდა სხივებს,
მის გულიდან ვერ ჩამოხსნით მის აკინძულ სხივთა მძივებს.

ვერავინაც ვერ შეახებს იმის რწმენას თავის ხელებს,
ნუ ჰგონიათ, რომ დაშორდა ყოფილ გმირებს, თავის ძველებს.

ნუ ჰგონიათ ქართველთ ძარღვში სისხლი ისე არა სდუღდეს,
როგორც ციდან სეტყვას, მეხსა თვით ბუნება მოაქუხდეს!..

ნუ ჰგონიათ ქართველის გული მკვდარი იყოს, არა სძგერდეს,
ნუ ჰგონიათ, რომ ის ვინმეს თვის კუთვნეულს შეარჩენდეს!..

გ. კვაცხუთელი

ჰაიდარბეგ აბაშიძე
საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი, საქართველოს ეროვნულ გაერთიანების მქადაგებელი ქართველი მაჰმადიანი მოღვაწე-მწერალი.

ხელოვნების ხელოსნები

(თბილისის კონსერტორიის შესახებ)

ნიკოლოზის მთავრობის დროს რომელსამე მაზრაში ანუ სოფელში უწესობა რომ იჩენდა თავს და მაზრის უფროს ანუ ბოქაულს პასუხს მოსთხოვდენ—მაზრის უფროსი ანუ ბოქაული ვითომ და გამოძიების შემდეგ მთავრობასთან შიკრიკს აფრენდა მცირე მოხსენებით: ყოველივე წესზეაო („ვსო ბლაგოპოლუჩნოვო“). ამითი მშვიდდებოდა უმაღლესი მთავრობა, ხოლო უყურადღებოდ მიტოვებული ცხოვრება უფრო მწარდებოდა, განგებ ხელ დაფარებული ბოროტება უფრო საზარელ ხასიათს იღებდა.

სწორედ ამას მოგვაგონებს ჩვენი დროის ხელოვნების ის ჭირისუფალი რომელსაც ხელოვნების შემაფერხებელ ძირითად ნაკლზე მიუთითებენ, ის-კი წარბ შეუხრელად გაიძახის—ყოველივე თავის რიგზე აწყვიაო.

მოგახსენებთ საზოგადოდ ჩვენი ეროვნული მუსიკის შესახებ და განსაკუთრებით თბილისის სამუსიკო კონსერვატორიაზე, დღემდე რომ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების სამუსიკო სკოლად იწოდებოდა.

როგორც სხვა ბევრი დარგი კულტურისა—სკოლა, თეატრი და სხ., რევოლიუციის წინა დროის რუსებს საქართველოში ქართველთა გადასაგვარებლად ჰქონდათ დაარსებული, ისევე მუსიკალური სასწავლებელი მოგვიწყვეს სულიერად გადასაგვარებლად. ამის ნაყოფს დღეს ვიმკით: ჩვენი მოწინავე საზოგადოების დიდი უმეტესობა გადაგვარებულია და ქართველურს გვარს თუ ატარებს. წაართვით ერს ენა მეტყველებისა, ენა სულისა—მუსიკა, და იგი არარად შეიქმნება, ისეთ არსებად რომლის ჯიში ცხოველთ შორის არ მოიპოვება.

კაი ხანია ცხოვრება დაჟინებითა გვთხოვს სამუსიკო ნაწილის გაეროვნულებასა და გახალხოსნებას. ქართველი საზოგადოების ის ნაწილი რომელსაც ჩვენი სამშობლო მუსიკის ბედ-ილბალი უფრო ინტერესებს, ვიდრე რომელიმე პიროვნების პატივმოყვარეობა, მოითხოვდა თბილისის სამუსიკო კონსერვატორიაზე ყურადღების მიქცევას. თუმცა ამ სასწავლებლის დაარსების თაოსნობა ქართველს ეკუთვნის და იგი სასწავლებელი საქართველოს დედა ქალაქშია, მაინც აქ ქართულს მუსიკას შესაფერი ადგილი არ ჰქონდა, მის ჭირისუფლებად თითქმის ყოველთვის ქართველთა მოძულენი ანუ არა შემწყნარენი იყვნენ ხოლმე

ახლა მაინც დროა ამას ბოლო მოეღოს.

ეს სასწავლებელიც უნდა დაადგეს გაეროვნულების გზას, მის გამგე დირექტორად უნდა იყოს ქართველი მუსიკალური განათლებით აღჭურვილი პირი ქართული მუსიკის მცოდნე, და არა რომელიმე ფილარმონიის მსმენელი, რომელსაც მასწავლებლობის ნებაც კი არა აქვს; ხოლო ეს იმას არა ნიშნავს, რომ ამ სასწავლებელში სხვა ერთა მუსიკას არ შეასწავლიან,—არა პირიქით, უფრო ბეჯითად უნდა შეასწავლონ, მაგრამ არა ხელოსნებმა, კარიერისტ—მოხელეებმა, არამედ ჭეშმარიტმა ხელოვნებმა.

შეიძლება ამ სასწავლებელში „პარტიტურები დანომრული ყველა თავის ალაგზეა და დაკეტილ შკაფებში ინახება“ (პირადად მე ამაში არც კი ვეჭვობ), მაგრამ აქ სამუსიკო ხელოვნების სული თავის რიგზეა, ჩვენი ეროვნული სამუსიკო ხელოვნება წესიერ კალაპოტშია. მოწაფე მასწავლებელთა შორის ნამდვილი სულიერი კავშირია, რომ ახლო მომავალში თუ არა შორეულში მაინც აქედან სწავლა დამთავრებული ორიოდე

კაცი მაინც გამოვიდეს და ისეთივე ჭიანი ნაყოფი არ მოგვცეს, როგორც ჩვენმა ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოების სასწავლებელმა?

აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება და არა შკაფებსა და პიანინოს.

სანამ ჯერ კიდევ დრო არ გასულა საჭიროა ამ სასწავლებელს ნამდვილი განათლებული ხელოვანი პატრონი გაუჩნდეს და სასწავლებელიც გაეროვნულების გზას დაადგეს.

ერთგვა თუ ულმერთგვ?!

ჩვენი სახემწიფოებრიობის შექმნა და თავისუფლების განმტკიცება დიდს ტკივილებს განიცდის.

ერთის მხრით ჩვენის ხალხის დიდის უმეტობის შეუგნებლობა და მეორეს მხრით საქართველოს აშკარა თუ ფარული მტრების საქართველოში თავმოყრა აძნელებს ცხოვრებას და ჰაერს შხამავს. თავისუფალ სამშობლოსაქართველოში ისე ჭგრძნობ თავს ვითარცა მოძულე მტრის ბანაკში: თითქო ირგვლივ გველები გისისინებენ და ელიან წუთს, რომ გეცნენ და დაგშხამონ.

საქართველოს დაუფლების მონატრენი, ხოლო ქართველი ხალხის მტერნი თვით ჩვენივე შეუგნებელ შვილების დახმარებით ისეთ მდგომარეობას ჰქმნიან, რომ ძველი მოგანატრონ, რათა თავისუფლება დაიღუპოს.

ყველაზე მეტად ვინ იზარალებს ჩვენმა თავისუფლებამ რომ წაიბორძიკოს?

ქართველი გლეხ-კაცობა და მუშა ხალხი.

ამიტომ ყველაზე უფრო მეტად ვინ უნდა იზრუნოს, რომ რაც მოვიპოვეთ: თავისუფლება სიტყვის, წერის, კრების, კავშირის, სინდისის, ხალხური მართველობის, სრული პოლიტიკურ თანასწორობის, მოქალაქობრიობის და სხ.—ხელიდან არ წაგვივიდეს? ისევ და ისევ მთელმა ქართველმა ერმა—საქართველოს ყველა ერთგულმა შვილმა, უმეტესად მუშამა და გლეხმა, რადგან ყველა ზემორე თავისუფლებანი ყველაზე მეტად ჩვენთვისაა საჭირო თითოეული ჩვენთაგანი ფხიზელ დარაჯად უნდა იდგეს, რომ ეს თავისუფლებანი ვინმე ჩვენთაგანმავე ბოროტად არ მოიხმაროს, ანუ ჩვენმა მტრებმა ფეხქვეშ არ გათელონ.

ყოველი მოწინავე მოაზროვნე და ხალხის მეგობრის სურვილი ის იყო, რომ ძველი უსამართლო წესწყობილების დამხობით ნამდვილი ერთობა, ძმობა და სიყვარული განმტკიცებულიყო ხალხში, რომ ერთს მრავლისათვის დაედგა თავი, მრავალს ერთისათვის. ამ აზრის გასამარჯვებლად

ხალხის ერთგული შვილნი არ ერიდებოდნენ ციხეს, სარჩობელას, კატორგას და ვინ მოსთვლის რავდენი ახალგაზდას ძვლები ჩაიყარა შორეულ ქვეყნებში.

ნამდვილად—კი რას ვხედავთ?—ერთობის მაგიერ—უღმერთობას, ძმობის მაგიერ თვით ძმათაგანვე ერთმანეთის ყლეტას. თავისუფლება ყირამალა შეატრიალეს და სწორედ იმას სჩადიან. რაც თავისუფლებას ჩირქსა სცხებს და გულ წმინდა მოქალაქეს ბოღმით ამოაძახებინებს:

—ღმერთო, ეს თავისუფლებაა თუ რაღაც ჯანდაბა აღარ გათავდება!

ნუ თუ ერთობაა, რომ თითოეული ჩვენთაგანი ეძასა ცდილობს მეორე დაარჩოს, სიცოცხლე გაუმწაროს?

ნუ თუ ერთობაა რომ წლევანდელი ზღვა მოსავლის დროსაც კი გირვანქა ორ კაპიკიანი პური ოთხ-ხუთ მანათად ფასობს? რა ქნას წვრილშვილმა, რომელსაცა შესანახავად ათი-თორმეტი სული ახვევია და შვიდი-რვა მანათი შემოსავალიც არა აქვს?

ნუ თუ ერთობაა რომ სოფლის დღიური უხარო მუშა ხარიანს ახრჩობს, ხარიანი კიდევ უხაროს ექიმპება, ორივეს ჭიდილით მათ შუა მდგომი უხარო ან არა დღიური მუშა გაჭირვებაში სულსა ღაფავს და მეზობელი მეზობლით ვეღარ გამართულა?

ნუ თუ ერთობაა რომ მთელი გორის მაზრის მხვნელ-მთვესელი და გონივრულ მეურნეობის მიმდევარი ხალხი ან ამოხოცეს, ანუ სიკვდილის შიშით სდევნეს და ეხლა იგინი თავის ადგილ-მამულს მოშორებულნი იოწიოდ დაღონღიალებენ ედდაქალაქში და მათი ნაშრომნაამდგარი კი ოხრდება? მოიგონეთ, მაგ სოფლის განმანათლებული მოღვაწე კონსტანტინე ამირეჯიბი, ცნობილი ისაია ფურცელაძე, გ. ტატიშვილი, ნიკო კეცხოველი, ვანო ციციშვილი და მრავალნი სხვანი.

მე მოგახსენებთ, სხვათა შორის, იმ ,,თავად აზნაურებზედაც,'' რომელთაც თავათაზნაურობისა ეხოლოდ სახელი შერჩენიათ და ბევრს მათგანს მიწის ახალი კანონის ძალით (მიწის დეკრეტით) არა თუ ჩამოეჭრება რამე, პირიქით, უნდა მიეზომოს კიდეც ნორმის შესაბამისად.

ნუ თუ ერთობაა რომ ჩვენი ქვეყნის რჩეულნი შვილნი: სტუდენტობა, ნასწავლი ახალგაზრდობა და შეგნებული მუშა—გლეხები საქართველოს საზღვრებზე ჩვენის თავისუფლების ნაძირალ მტრებს გააფრთებით ებრძვიან, ხშირად მშიერნი ტიტველნი (რადგან ძნელია ყოველევი საჩქაროდ მიაწოდო ერთი მხრიდან მეორე მხარეზე სასწრაფოდ გადასვლის გამო), სიცხე-სიცივეში დასუსტებული, სისხლიდან იწკრიტებიან და ამავე დროს ჩვენი დედა ქალაქი ანუ სხვა უშიშარი დაბა ქალაქები აუარებელი მუქთახორა ხალხითაა სავსე, რომელიც ნიადაგ გარმონიკა-არღანზე ქეიფობს, სასურსათო (პურის შაქრის და სხ.) რიგებში სდგას, დიდ ძალ სურსათს სთქვას უსარგებლოდ ანუ ათასგვარ ხრიკებით გლეხის ნაშრომს ხელში იდგებს, რომ მერე ერთი ათის მოგებით ბეჩავ ხალხზევე გაჰყიდოს. გაიარეთ ქალაქებში და ნახეთ ვინ და რა ჯურის „ვაჭარი არ ვაჭრობდეს ყოველ გზა-ჯვარედინზე, მეთონე მეფურნეს პური არა აქვს, აქკი ჩარჩის ჩარჩები ან ათასგვარი წურბელები საცოდავ ხალხს სისხლს სწუწნიან.

ნუ თუ ერთობაა, ათასი ჯურის უცხო ტომის ლტო

ლვილი აქ ნებივრობდეს, ჩვენის ქვეყნის სიამით სტკბებოდე, ქართველი ერის რჩეული შვილი კი მათ სარჩენდა საჭლარზე სწყდებოდეს?

ნუ თუ ერთობაა რომ ჩვენს სოფელში სინათლის შემტანს, ჩვენის მომავალის ნუგეშის მომცემს—ახალ თაობის აღმზრდელს მასწავლებელს სიმშილით ვკლავთ ცხოვრების სახსარს უსპობთ, სრულიად უმნიშვნელო ჯამაგირსაც კი არ ვაძლევთ მაშინ, როდესაც სხვა მუქთა ხორათა სასუქად ყოველივე უხვად იშოვება?

ნუ თუ ერთობაა, რომ სხვა და სხვა დროის დეზერტირები ვაჭრობა—ჩარჩობით ანუ ზოგიერთა საპატიო ადგილებზე მოკალათებით ფულებში კოქაობენ, ბატონობენ მაშინ. როდესაც მართლა და მებრძოლი მხედრობა, ქვეყნის სამსახურსაც კი ჩამოშორებულია თვისდა უნებლიეთ?

ნუ თუ ერთობაა, რომ ქვეყნის გასაჭირის დროს ზოგიერთი სოფლებიდან თუ გამოვა რავდენიმე გვარდიელი, უმეტესობა გატაცებული თოფით სახლში ნებივრობს და წასულთაც კი მასხარად იღებს, ანუ ცხადდება—ჯარი უნდა შეიკრიბოსო, და სოფლის აზალგაზდობა—კი ბაიბუათაც არ იმჩნევს,—ხალხი უყურებს—თუ გაიყვანეს, სჩანს მთავრობა ყოფილა, თუ არა და მთავრობა არა გვყოლია, უპატრონო ქვეყანაა, უპატრონო ერი ჰკა და წარსტაცე, შეგრჩებაო.

ნუ თუ ერთობაა, რომ დღესაც საქმის კაცი, ესა თუ ის გამოსადეგი ქართველი ბოხელე, ხელოსანი, ოსტატი პარტიულობით არჩევა, რის გამოც ბევრი საქმის სასარგებლო კაცი გარეცდა რჩება—იღუპება იგი და მასთან საქმეც—და საქმეს სათავეში ექცევა უვიცი, საქმის არ მცოდნე კაცი?!

დიაღ, ყოველივე ეს და მრავალი ასეთი სენი გჭირს, ჩემო საყვარელო, სამშობლოვ, დროა იმკურნალო. ერო ჩემო, თუ შენც გსურს ერთა შორის ერად იხსენიებდე და დემოკრატიული რესპუბლიკა შეინარჩუნო, შეგნებითაც უნდა უპატრონო თავსა შენს თორემ ცხოვრება„ ვაი დედას ''ამოგვაკვნესინებს ..

კმარა ასეთი,, ერთობა'' ხალხს უნდა ნამდვილი ძმობა, ნამდვილი ერთობა, მეზობლობა, სიყვარული, ერთმანეთის გატანა, საალმშენებელო საქმიანობა. ნამდვილი სახემწიფო მოღვაწეობა, მშვიდობიანი ცხოვრება, იაფი პური, იაფი ჩასაცმელ—დასახური, მშვიდობიანი მიმოსვლა, წესიერი უფასო სწავლა-განათლება, და ერთი ძლიერი მთავრობა და კანონიერი მართვა—გამგეობა.

ამიტომ საჭიროა, დღეს საქართველოს ყოველმა ერთგულმა მოქალაქემ ზურგი გაუმაგროს და მხარი მისცეს ჩვენს მთავრობას შინაურ უწესობის ჩაქრობაში და და გარეშე მტრებთან ბრძოლაში, რომ ჩვ ნმა მთავრობამ თავისი ვალი ღირსეულად შეასრულოს.

ცხოვრების სასტიკი კანონი—ჩვენი დროის სინამდვილე და ყოველმხრივი გაჯავრება ხალხს რკინის ძვალივით ეჭირება ირგვლივ სუნთქვაც ნელდება... ხალხს შველა უნდა, მიცემულ თამასუქის განაღდება...

ჩვენის ქვეყნის მესვეურნიო, დროით გამოხსენით ეს გორდიონის ნასკვი, თორემ მერე გვიანლა იქნება თითზე კბენანი!..

იოსებ იმედაშვილი

საემოგლოს მსხვერპლი

დიმიტრი (მიტო) იერემას ძე გულისაშვილი

ჩვენი განთავისუფლებული სამშობლოს დამოუკიდებლობა მსხვერპლს მსხვერპლზე ითხოვს, ზვარაკს ზვარაკზე... და ჩვენი შეგნებული ახალგაზდობაც—დემოკრატიისა და მამულის მოთხოვნილებათა მტკიცე დამცველი რიგში სდგას, ერთი მეორეს ეცილება: არა მე ვასახელო სამშობლო, არა მე ჩემის გმირულის თავ დაუზოგველის სიცოცხლის განწირვითაო...

ასეთი იყო დიმიტრი გულისაშვილიც. ჩვენ-დრამატურგ—მასწავლებლის იერემია გულისაშვილის შვილი, გარეკახელი (ს. გიორგიწმინდიდან), ახალგაზი და ოფიცერი (24 წ.) რომელიც პოლკოვნიკ იოსე, გედევანიშვილის პარტიზანულ პოლკში მსახურებდა, ანანურთან დაიჭრა მესამედ და ჭრილობით გარდაცვალებული წარსულ ხუთშაბათს დიდუბეში დაკრძალეს.

მისი ნორჩი ვაჟკაცობა, გმირული თავგამოდება და სამშობლოს საკეთილდღეოდ ცეცხლში ტრიალი, სამარესთან მშვენიერი სიტყვებით დაახასიათეს დეკ. ი. მირიანიშვილმა, ვ. კოტეტიშვილმაა ს. დადიანმა, ალ. წერეთელმა, მ. ხერხეულიძემა და სხ.

დიმიტრი უმაღლესი სასწავლებლიდანვე საერთაშორისო ომიანობის გამო რუსის მხედრობაში გაიწვიეს დიდ ხანს მსახურებდა ოსმალეთისკენ, რევოლიუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ჩაეწერა ქართველთა პარტიზანულ პოლკში და მუდამ გატაცებული იბრძოდა. ვითარც შეჰფერის ქართველ მამულიშვილს. უკვე დაჭრილს ურჩიეს შინ დაბრუნდიო მაგრამ მან სამშობლოს განსაცდელს თვისი განსაცდელი ირჩია. მეორედ რომ დაიჭირა, თვითონვე შეიხვია, თურმე, ჭრილობა და კვლავ განაგრძო მტრის შეტევა, რომლის დროსაც გმირულ ბრძოლაში განგმირული დაეცა.

მისი ნორჩი სიცოცხლე სადდეგრძელოდ შეეწირა სამშობლოს, ხოლო: ნაადრევად დანთხეული სისხლი მისი ახალს გმირებს აღზრდის მამულის დასაცველად.

თავისუფალი საქართველო მუდამ მადლობით მოიხსენიებს სახელსა მისსა...

იოსებ არიმათიელი

გ. მ. შარვაშიძე

ნიკო თავდგირიძის სიტყვა

(გაგრძელება იხილე „თეატრი და ცხოვრება'' № 10).

შენმა განსაკუთრებულმა ორიგინალურმა ბუნებამ მთელი მოძრავი შკოლა შექმნა ახალგაზდობის მისაბაძავად და განსაწრთვნელად. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას ესე რომ ოცდა ათი წლის განმავლობაში ბევრი თავმომწონე ახალგაზდა ჩვენებური შენი მაგალითით სარგებლობდა გარეგან ჩაცმულობის ზდილობის და პლასტიურ მიხვრა—მოხვრის განვითარებაში. ამა თუ იმ ხალხის კულტურა მარტო წიგნებით კი არ შეისწავლება არამედ კერძო პირთა ზნე—ჩვეულებით და ყოველივე ცხოვრები. რითი გადავიხადეთ, რა პატივი გეცით ყველა შენი ჩვენი ბეჩავი ხალხისადმი სიყვარულისათვის, წინააღმდეგ, არც ერთ მცირეოდენად ხალხის ერთგულს ისეთი ცოტა ყურადღება და ხშირად ბევრი უსამართლობა არ სწვევია ხვედრად როგორც შენ: მთელი საუკეთესო ადგილები ამ ედემისებურ ქვეყანაში—აბხაზეთში შენ მემკვიდრეობით გეკუთვნოდა და შენი ხასიათის დიადობის გამო, შენი ერის ბატონებისადმი და ჩაგვრელებისადში გულახდილად, ვაჟ-კაცურად, კეთილს მშობლურად წინააღმდეგობისათვის ყველა ეს სიმდიდრე ძალით წაგართვეს და შენი ხალხის მაგიერების მოძულე, მოწინააღმდეგე რუსის მოხელეებს დაურიგეს შენკი ორი ქცევა მიწა გენატრებოდა შენს ქვეყანაში. ჩვენ—კი, შეგნებული ნაწილი, საზოგადოების, არავითარ ჩვენ აღშფოთებას არ ვაცხადებდით ამ უგვან, უსართლო საქციელისათვის, უბრალო თანაგრძნობის გამოცხადებასაც ვერ ხედავდი ჩვენი მხრით; შენ-კი რაინდული მშვიდობიანობით და დიდსულოვანობით იტანდი ყოველივე სასჯელს; ხშირად მონური გრძნობის გამომ ყლავნებითაც შეურაცჰყოფლათ შენ კეთილ შობილებაზე რაც ჩვენ-გიცნობდით, შენს სახელს ვახსენებდით რამე საპატიო, მნიშვნელ: ვან ასარჩევ თანამდებობაზე ბევრა რუსული აზროვნობით აღზდილი ჩვენებურობა, ეხლა ყველა რევოლიუციონერებია, ხმა მაღლა გაიძახოდა: მიორგი შერვაშიძე ხელმწიფეს არ უყვარს, მთავრობა მისი წინააღმდეგია და მისი არჩევა არ შეიძლებავო. შენი ხალხისათვის თავისუფლების მოპოების ხმა მაღლა აღვიარების გამო იმ დროს, როცა ყველა წრის ჩვენ საზოგმდოებას ღვთის წყალთბათ მიაჩნდათ რუსის მთავრობის ყურადღება, შენ აღგრძალული გქონდა შენს სამშობლოში—აბხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება, მხოლოდ 1905 წლის შეკვეცელ უფლებათა მოპოების შემდეგ შესძელ დაუბრკოლებლად აქ გეცხოვრა; დაუყონებლივ მოაშურე შენს ქვეყანას, მაგრამ რა დაგხვდა? იმ აბხაზებმა, რომლების ღირსებას უცხოელები შენით პატივს ჩცემდენ, რომლების თავისუფლებისათვის შენ შესწირე მთელი შენი დიდებული კარიერა ყოველივე შენი ქონება სიმდიდრე, შენი აქ ჩამოსვლა ვერცკი შეამჩნიეს. ყოველივე შემთხვევაში შენი აქყოფნით ვერ ისარგებლეს. თუ ეს გარემოება მოსათმენი იყო ამ ორი წლის წინეთ, ეხლა ამ უკანასკნელ ღროს როცა ყველა ეროვნებ ს მიენიჭა თავისუფლად ამოსუნთქვის უფლება, შენდამი უყურადღებობა სწორედ დანაშაულება იყო. თამამად შემიძლია შენ კუბოსთან გამოვსთქვა, რომ შენისთანა რაინდული გრძნობით აღჭურვილი, შენისთანა ჩვენი ეროვნების ღირსების შემგნები, დამცველი და უანგარო მოყვარული არა თუ აბხაზეთს, მთელ საქართველოსაც რომელიც რიცხვით და განათლებული საზოგადოებით უფრო ძლიერთა, ამ ყამადაც არა ჰყავს. რა უსამართლობა, რა ირონიაა ცხოვრების: მთელი შენი მშვენიერი, მომხიბლავი ახალ-გაზდობის ძალა, არა ჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ ფენთვის ცხოვრებაში ერთ-ერთ საფასურ-განძს—აბხაზეთს თავისუფლება მოვლინებადა და შენ უკანასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლეიური სიმონი მიჰგებობოდი მას მაგრამ შენმა სიყვარულმა ხალხმა-აბ ხაზებმა გვერდი აგიხვია, ვერ შეგამჩნია შენ და იმ რუსის აღზდა-აზრთვნება-მიმართულებით გაჟღენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა შორის აღიარებულიბედნიერება შესწირე.

პავლე საყვარელიძე

საქართველოს მთა რობის პოამბის გაზეთ „საქართველო რესპუბლიკა"-ს რედაქტორი. (გაზეთი გამოვიდა ივლისის 25, 1918 წ.)

* * *

დილას რიჟრაზე ცას გავყურებდი,
ღ უბელს ღრუბელი ემატებოდა,
ყოველის ნ ხრიდან მოჰქროდა სული
და ცის კარებთან რიგში დგებოდა...
დრო არს მტარვალთა შურის ძიების!!.
რ ჟრაჟ მწარეთ გაიძახოდა!—
არვინ ელოდა სასწორს ცოდვისას,
წარსული ყველას დავიწყებოდა...
და ძირს ქვეყანა, აოხრებული,
წამების ზღვაში დასცურაობდა, —
და მზეც ებრძოდა ბოროტ ავსულებს,
ქვეყნის სახსნელად ეშურებოდა!..

საშა

სიყვარულის ნოგვეთი

გუშინ ისე ჩქარა რად გამირბინე გაბუტულმა? ძლივს მოვკარი თვალი შენს გულზე სასიკვდილოთ განზადებულ ვარდს, მაგრამ ის ვარდი, მე რომ წინადღით ბრმა მიყვავილესგან გიყიდე, იმას არ ჰგავდა... ალბათ ჩემზე გაჯავრებულმა, იმ ვარდზე იყარე ჟინი. ვინ იცის საცოდავმა ვარდმა როგორ ადგილას დალია სული... რას ერჩოდი? ის ხომ უმანკო ვარდი იყო—მას ჯერ არ განეცადა ბოროტი ადამიანის ყნოსვა,—ხომ იცი მე ნაყნოსვი ვარდი არ მიყვარს... მინდოდა უკან გაგიგდევნებოდი, მაგრამ ჩემი ვარდი რომ ველარ დაგინახე გულზე, უცბათ შეეჩერდი... სუნთქვა შემიკრა, ვერ ვისვენებდი... შემძაგდა მოსეირნე ბრბო, რომელიც ჩემს გარშემო დაფუფუსებდა... ყური მოვკარი, თუ როგორ ეფიცებოდა ქალი ვაჟს: „ეხლა გამიშვი, ჩემო კარგო, დედა ავად არის! ხვალ-კი აქვე შევხვდეთ ერთმანეთს და ღიდხანსაც არ მოგშორდები, ეხლა კი, ეხლა“... და თან ალერსის ნაცვლეთმაზე ნაზათ უცაცუნებდა ვარდს, რომელზედაც ელექტრონის შუქი ვერცხლისფრად აციმციმებდა საღამოს ნამს. ვაჟს კი მაგრად ჩაეჭიდნა ქალისთვის ხელი და არცკი ესმოდა მისი მუდარა. „ეგრე, ეგრე არ გაუშვა, მინდოდა შემეძახა ვაჟისათვის, თორემ ვინ იცის იქნებ ხვალ შენც უხმოდ გაგირბინოს შენმა სატრფომ, იქნებ მაგ შენს ვარდსაც ის ბედი ეწიოს, რაც ჩემსას“...

მოფუსფუსეთა შორის უგულო სიტყვებს საზღვარი არ ჰქონდა.

სატრფოც-კი ატყუებს, ოურმე, თავის მიჯნურს, მაშ სად არის მეგობრობა, სიყვარული? თურმე არსად; თვალთმაქცობით და პირფერობით ყოფილა სავსე ეს ქვეყანა...

არა, როგორ ვიფიქრებდი, რომ იმ ვარდის ყიდვის დროს შენი მოჩიკჩიკე ენა, რომელიც იმ ვარდზე უფრო ვარდისფერად მეტყველებდა, დღეს ჩემთვის დასდუმდებოდა!.. ან შენი ცელქი სახე და მასზედ ჭკვიანად მოთამაშე თვალები დღეს ასე შეიმოსებოდა ღრუბლებით. . რად დამემდურე? მე კი მეგონა, რომ ჯერ შენმა გულმა არ იცოდა, თუ რა არას დამდურება, სხვისადმი მტრობა. რომ შენი სული არ არის ნაჩვევი გაბუტვაის წმინდა მეგონა ისე დაეკლული იესოსს ხატის წინ საიდუმლო სიყვარულის ტაძარში ნთებული ქრისტეს ვოსიყვარულე ქალწული საგან ჩამოქნილი თაფლის სანთელი.

ამ სიყვარულის მწარე ფიქრებში ვიყავი გართული, რომ მომესმა: „გამარჯობათ,“ და ჩემს გვერდით ის ქალი დავინახე, რომელიც შენ წინადღით გამაცანი... გაშტერებული დაუწყე ცქერა, დიდხანს ხელის ჩამორთმევაც კი ვერ მოვახერხე, სიტყვის თქმას ხომ სრულიად ვერ ვახერხებდი... „ლელი რად გააჯავრეთ?“ დაარღვია ისევ მან სიჩუმე— „მე... არა ფერი არ ვიცი„... დაბნეულათ, აკანკალებული ხმით უპასუხე.

„როგორ თუ არ იცით? სად გაგონილა ღამის თორმეტ საათზე ახალგაზდა ქალი მარტო გაუშვას, კაცმა შინ, სად ნახულა? გეტყობათ ჯერ ცოტა გიცხოვრიათ.

ახალმა შეურაცყოფამ სულ დამიბა ენა და ლივს უპასუხე ლუღლუღით:—მე დიდხანს ვეხვეწე, ვეშუდარე ნება მიეცა, მაგრამ... მან უარი მითხრა.

ოხ, რა სასაცილო ხართ ვაჟები: თქვენ სიცოცხლეს ქალების ტრფობაში ატარებთ, მაგრამ ქალებს მაინც არ იცნობთ; მართალია ლელიმ უარი გითხრათ, მაგრამ გულით-კი ძალიან უნდოდა, რომ გაგეცილებინათ, ის თქვენ გცხიდათ.—როგორ მე ის მცდიდა? გავაწყვეტ ნე შენს ამხანაგ ქალს,—მაშ რა ფასი ჰქონია ჩვენს სიყვარულს?

—თქვენ ის სრულიათაც არ გიყვართ; მაშ თუ გიყვართ, რატომ ამდენხანს არ ხსნით თქვენის გულის სიყვარულის გულისპირს, თქვენ მას ხოლოდ ეთამაშებით. და ამ მწარე სიტყვებით გამოუმშვიდებლათ გამშორდა.

ჩემი სული უფრო მაგრა შეიპყრო კაეშანმა: როგორ? გავიფიქრე მწარედ: ლელიმ, ჯერ კიდეარ იცის, რო ჩემისული მას სასიყვარულოდ ეთამშება? ნუ თუ საჭიროა შაბლონიურად, „სიყვარულის ახსნა: “მიყვარხარ მშვენიერო უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია...“ როგორ შემეძლო ჩემი კორძიანი ენით მეთქვა ის, რასაც უხმოდ გეუბნეოდ, თვალების ჩურჩულით, მაგრამ გეტყობა ჯერ შენ კიდევ არ ხარ მიჩვეული თვალებით ლაპარაკს...

ესწრაფე ცელქო, მიეჩვიო თვალებით ჩურჩულს, ხომ ხედავ რა მოკლეა ჩვენი სიცოცხლის დღენი...

გრ. საქარიქიდელი

ცხოვრების გზაზე

აიხადე მასკა, აიხადე!.. მე მინდა ვიცოდე ვისთან მაქვს საქმე!.. ამდენი ხანია შენთან ვცხოვრობ და ჯერ კიდევ ვერა გცნობ!..

—საკვირველი კაცი ხარ! აბა რა ჩემი ბრალია? დამაკვირდი და გაიგებ... მე კი შენ კარგად გიცნობ!.

—ჩემი ცნობა სულ ადვილია... მე უმასკოდ ვცხოვრობ, უმასკოდ!..

—შენ ისე გინდა, რომ ყველა შენსავით ფიქრობდეს, ცხოვრობდეს და აზროვნობდეს... ეს კი შეუძლებელია, შეუძლებელი...

—არა, სრულიადაც არა... მე მხოლოდ, ის მინდა რომ ადამიანი ადამიანობდეს. ის ყოველთვის პირდაპირობდეს და არა მელაკუდაობდეს...

შენ კი ყოველ დღე იცვლები. რამდენჯერ არ მოგენდე. რამდენჯერ არ დავიჯერე შენი და ყოველთვის მოტყუებული დავრჩი... გუშინ სხვა იყავ. დღეს სულ სხვა ხარ და ხვალ კიდევ სულ სხვა მასკით წარმომიდგები... არ არის კარგი, როცა ადამიანი მასკას ატარებს ცხოვრებაში. იგი მხოლოდ სცენაზეა საჭირო.

—რად არ იცი, რომ ცხოვრებაც იგივე სცენაა.

—ასე ყოფილა, ასე... ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს ვატყუებთ, ერთმანეთს...

—დიახ. და ამას გვიკარნახებს არსებობის საკითხი. ხომ ხედავ, ლევანაანთ გიგა როგორ ელაქუცება თომაანთ შაქროს, გიგამ კარგად იცის შაქროს ოინები, მაგრამ მაინც მას აქებს, ადიდებს. გიგას სურს შაქრო მოხიბლოს და რამე გამორჩეს... და აკი აღწევს მიზანს. შაქრო კიდევ სხვას უხვევს თვალებს და ასე... ის ყველაზე კარგად სცხოვრობს, ვინც უფრო დახელოვნებულია ამაში.

—და მერე ეს ადამიანობაა? ეგ ხომ ფლიდობაა, გაიძვერობაა!..

—რაც გინდა ის უწოდე, მაგრამ... მაგრამ ეს მაინც ასეა... ასე...

—მაშ ჩემისთანებმა რაღა ჭქნან... ვის უნდა მიეკედლონ?

—თავისთანებს!.. ან კიდევ ისწავლონ ცხოვრების ხერხი. სხვებს მიბაძონ..

—არა, არა. მე არ შემიძლიან ასე მოვიქცე... მასკა ავიფარო, არა...

—ცხოვრება გაიძულებს. ადრე თუ გვიან ის თითონ აგაფარებს მასკას. არა და... ვერც იცხორებ, გესმის?..

—

—ეკლები. მხოლოდ ეკლები ამ ქვეყნად!.. ვისაც რამე ვთხოვე, ყველამ გვერდი ამიარა... არავინ არ მოიხედა ჩემსკენ, არავინ!.. წუწუნობდა ერთი.

—მიშველეთ... დამეხმარეთ... სამი დღეა არა მიჭამია რა... შიმშილით სული მხდება... მიშველეთ...

—ღონემიხდილად გაიძახოდა მეორე.

—ადამიანი გულქვაა. შეუბრალებელი. —განაგრძობდა პირველი, ის მხოლოდ მას აძლევს, ვისგანაც გამოელის... ჩვენ ხომ სამაგიეროს ვერას მიუზღავთ... ამ გზაზე ბევრ ჩვენისთანას უვლია... ჩვენც მანამ ვიარეთ, სანამ სული გვიდგა...

—მართალია ძმავ, მართალი.—უპასუხებდა მეორე, ყოველივე ტყუილი ყოფილა, ტყუილი... ძმობა მეგობრობა. სიყვარული მხოლოდ ქონებით ყოფილა გამოწვეული... სიზმარივით მაგონდება განვლილი დრო. ერთ დროს მეც მქონდა სახლკარი... ქონება... ჩემი სახლის კარები მუდამ ღია იყო ყველასათვის... მაგონდებიან მაშინდელი მეგობრები... როგორ მეფიცებოდნენ ერთგულებას.., სიყვარულს... ძმობას... მეგობრობას... მახსოვს, ზოგიერთმა თავის დადებაც კი შემომფიცა, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა ჩემთვის... მაგრამ. მიმუხთლა ბედმა, ქონება გამეფლანგა და...

დღეს კი აღარავინ არ დამრჩენია.., ყველა ჩამომეცალა... ყველამ დამივიწყა .. აქა-იქ ნაცნობ-მეგობრებსა ვხვდები... ბევრი მათგანი თვალს მარიდებს, ზოგი კი ასე მეუბნება: ''აბა რას ჩმახავ. როდის ვიყავი შენი ტოლიო...''

—ადამიანი ღრუბელსა ჰგავს, ღრუბელსა.—გაიძახოდა პირველი, ტიალა ქარი მას ხან მზესთან გაუჩენს ბინას და ხან კიდევ ჭაობში გადასტყორცნის... ადამიანიც ეგრეა... ბედი მას ხან მეფედ დასვამს და ხან კიდევ მონად გახდის...

—მაშ რათ არ ეშინიათ მათ, რომელნიც დღეს ბედს მეფეთ დაუსვამს... რად არ ფიქრობენ, რომ ხვალ ზეგ შეიძლება მათაც ეს დღე ეწვიოთ... რად არიან გულქვავები... იმათაც ხომ ასე მოექცევიან? —ეკითხებოდა მეორე.

—ისინი, რომლებიც ფუფუნებაში და განცხრომაში არიან, ერთი წუთითაც არ დაფიქრდებიან ჩვენისთანების ცხოვრებაზე. . ვერც იმას წარმოიდგენენ თუ ოდესმე ცხოვრების ჭაობში ჩაცვივიან... ჩვენისთანებს ისინი ზიზღითაც-კი უცქერიან... ხან კიდევ დასცინიან, მაგრამ, როცა ამ დღეში ჩავარდებიან,—მწარედ ჩაფიქრდებიან... მაშინ კი ინანებენ. მაგრამ გვიანღა იქნება, გვიანღა...

—

—მამი, რა მშვენივრად უკრავდა ორკესტრი... რა ჩინებული მომღერლები იყვნენ.—ეუბნეოდა ახალგაზდა ქალი თავის მამას..'

ერთობ საამო მოსაამენი იყო... ხვალ კიდევ გამოჩენილი მუსიკოსი №-ში მართავს კონცერტს...

—მამი« რა კარგი იყო განსაკუთრებით უკანასკნელი ნომერი... ახალგაზრდა მომღერალმა რომ ერთი არია შეასრულა... რა მომხიბლავად მღეროდა... რაი ტკბილი და საამური ხმა ჰქონდა...

—ო, მართლაც რომ ჩინებული იყო. ეტყობოდა გამოჩენილი ვინმე უნდა იყოს.. ამბობენ ის მომღერალი ქალს ვძებს ლამაზსა და ქონებიანსა. აბა შენ, ჩემო ცუგრუმელა, სილამაზით ვინა გჯობს? ვეცდები...

შენზე გათავდეს საქმე. დღესვე ვინახულებ ჩვენს მეგობარს №-ს. ის უფრო გაარიგებს ამას. ასეთ საქმეში ის უფრო დახელოვნებულია... მე კი, ჩემო ცელქო, არა ფერს არ დავზოგავ... აუარებელ სიმდიდრეს გამოვიღებ შენთვის... მზათა ვარ მზითვად მოგცე ჩემი უდიდესი ქარხანაც კი.. იმედი მაქვს საქმე კეთილად დამთავრდება.

—ჩემო ძვირფასო მამიკო, ჩემო მშვენიერო. რა ბედნიერი ვიქნები მაშინ. რა ბედნიერი... განა მარტო მე? მთელი ჩვენი ოჯახი. საგვარეულო... შეხედულობითაც ხომ მშვენიერია. ლამაზი და მიმზიდველი..

აბა, მამიკო, ვინძლო მალე გაარიგო საქმე, ვინძლო მალე —აღტაცებით გაიძახოდა ცელქი ქალი და სიხარულის ნიშნად კისერზე ეხვეოდა.

—ეცდები, სულ მალე გავაჩაღო საქმე, სულ მალე.. ხვალ დედასაც დეპეშა დავუკრათ, რომ საჩქაროთ ჩამოვიდეს...

—ჩინებული საქმეა' მამი, ჩინებული... დედასაც ხომ ძლიერ გაეხარდება... ხა, ხა, ხა, ხაა,.. რა ბედნიერი ვარ... მაშ ასე, მამიკო... კიდევ რამდენიმე დღე და გამოჩენილი მომღერლის ცოლი შევიქნები.. მერე უნდა უყურო, რა პატივით მომეპყრობიან... რა სახელი მექნება... ყველას შეშურდება ჩემი ბედი... არა, მამიკო?

—

—ჩუ... ეს რა არის, რომ ასე გულსაკლავათ გაჰკივის... იგი თითქო მომაკვდავ ადამიანის კვნესასა ჰგავს.

—მიშველეთ... შიმშილით სული მხდება. ვკვდები... მიშველეთ.—გაისმა უკანასკნელი ამოკვნესა ბედით დასჯილსა..

დიახ... ის არის, ის...

უბედური. ობლათ დაეცა ცხოვრების გზაზე.

ყველასაგან დავიწყებული. ყველასაგან მიტოვებული..

ო, რა ჭრელია. რა მრავალფეროვანია შენი გზა ცხოვრებას. იქ. სადაც ბედით დასჯილთა კვნესა და ქვითინია, ცხოვრებით უზრუნველთა და განცხრომის შვილთა სიცილ—ხარხარი გაისმის..

ლ. ძიძიგური

ქართველი ლეგიონერები გერმანია-ოსმალეთში

1, **ნესტორ მაღალაშვილი**, ლეგ. შტაბის უფროსი და ქართ. კომიტეტის წევრი, წარმომადგენელი სტამბოლში; 2, **ზი-ბეი აბაშიძე**, ქართულ კომიტეტის წევრი; 3, **პორფირე გვიშიანი**, 4, **სერგო ლაბაძე**, ტყვიის მფრქვეველთა რაზმის კომანდირები; 5, **შალვა წერეთელი**, ქართველ ლეგიონის ასეულის თფიცერი; 6 **ახმედ დევიძე**, 7, **ლეო ბყონია**, 8, **ალექსანდრე ცაგარეიშვილი**, 9, **კოსტა ინასარიძე**. 10, **მემედ ბეი აზაბაშვილი**, ლეგიონერები სხვადასხვა ნაწ.; 11 **ლავ. მანჯავიძე**, პორ.

სარჩობელაზე

(ძველი რვეულიდან)

ეკანასკნელი დღეა ეს ჩემი—ავდივარ სარჩობელაზე,
ჯალათი თავზე მადგია.., აღარარს შვება შველაზე

უკანასკნელი დღეა ეს ჩემი... მშვიდობით ჩემო ქვეყანავ,
მშვიდობით სატრფოვ გულისა, მშვიდობით მშობლისა ნანავ.

მივდივარ... გტოვებთ ტოლებო, მშვიდობით ციხე-საკანო,
ვეღარ გიხილავთ შემდეგში ცოცხალთა კუბო-აკვანო.

მშვიდობით ხალხო! რომლისთვის მარადის გული მტკიოდა'
ბევრჯელ მტარვალთან ბრძოლაში. რომლისოვის სისხლი მდიოდა.

ახლა არ გესმის... მოვა დრო—დალეწავ მონის ბორკილებს,
და ნატვრით მოიხსენიებ შენთვის ცეცხლითა დევნილებს.

მშვიდობით ახალგაზრდობავ, ჩემო სიცოცხლის ტრფიალო,
შენ-კი... სალამი სიკვდილო; უნდო, ჯაცთ-მზარო ტიალო...

ს. ერთაწმინდელი სამუელ (ნოე) გიგოსძე ბუაჩიძე
თერგის ოლქის სახალხო კომისართა თავ მჯდომარე. მოკლ. კავკავში ივნისის 20.

ამბარცუმ არაქელიანი

სომეხთა პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე



ჩვენი დროის საზოგადო მოღვაწე და პეშმარიტი მწერალი, რომელსაც მიზნად დაუსახავს ,,არა მარტო ტკბილ ხმათათვის მღერა,'' არამედ თავის ერის წყლულთა კურნვა, საზოგადოებრივ მანკიერებათა დაურიდებელი ნესტრვა, წამების ჯვართან ერთად ჯვალათის საიდუმლო მახვილსაც ატარებს. ჯერ კიდევ ძველის დროიდანვე შენიშნულია, რომ როდესაც გონებით და აზრით მებრძოლის წინააღმდეგ ველური ბრძოლას ველარ იტანდა, მარტივ საშუალებას მიმართავდა ხოლმე: მუშტს, ხანჯალს ტყვიას და სხ.

გვეგონა ჩვენს რწმენისა და სინდისის თავისუფლების ხანაში, ჩვენს მოქალაქობრივ და პოლტიკურ აღორძინების დროს მაინც ავცდებოდიო ასეთ ველურებას,— მაგრამ არა ადამიანის სახით თურმე ჯერ კიდევ ბევრი მხეცი დაიარება და აი ამ მხეცებმა ამა 1918 წ. ივლიში ჩვენს დედა ქალაქში სიცოცხლე მოუსპეს სომეხთა მხცოვანს, მოუსყიდველსა და სახელგანთქმულ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს ამბარცუმ არაქელიანს, სომხურ გაზ. „მშაკ''-ის რედაქტორს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკ. გულწრფელად და თავგამოდებით ემსახურებოდა მშრომელი ერის გამოფხიზლებას, აღორძინებასა და წინ სვლას... დიაღ ხელი შეახეს სომეხთ. სათაყვანო მოღვაწის არწრუნის ოჯახის წევრს რომელიც თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს იქნება ზოგჯერ რაშიმე სცდებოდა, მაგრამ ბოროტად კი არა ხმარობდა ღვთიურ ნიჭსა და ერის სამსახურისთვის მომარჯვებულ კალამს...

მახსოვს იგი 1911 თე 1912 წ, მეტეხის ციხიდან სადაც ვგონებ სამწერლო საქმეზე მცირე ხნით მოიყვანეს, მახსოვს ნაზარიანის სალონში, მახსოვს მისი ნაწერებიც და ყველგან ყოველთვის ეს ტანით დაბალი, გარეგნულად ტკბილი მოხუცი, დინჯად მოსაუბრე მწერლობაში მუდამ დაუნდობელი იყო პირად მეგობართანაც-კი თავისი რწმენის—ერის უანგრო სამსახურის უზადო რაინდი... იგი ენთო და წმიდა სანთელივით დნებოდა მხოლოდ მისთვის, რომ ბნელში ჩაფლული, გზა გაუვალში მიმწყვდეული ბედშავი ერი თავისი მზიანდღეის გულზე გაეყვანა...

და ასეთ მოქალაქე-მოღვაწეს ავაზაკებმა სამისტყვით გაუგმირეს გული, რომელიც ამ ძლიერ სცემდა იმავე ავაზაკთა საკეთილოდღეოდ და გასაადამიანებლად... ჩააქრეს სანთელი და ალბად, თვითონ კვლავ ბნელში ნებივრობენ...

ვაი და ვიში არა ძვირფას მოღვაწის არაქელიანის ხსოვნას, არამედ იმ ერს, რომლის საშოდანაც ასეთი ადამიანთა მკვლელნი წარმოიშობიან ხოლმე...

მაგრამ ესეც სათქმელია: როდესაც ქვეყანას წყვდიადი მოიცვავს ზოგჯერ საჭირო ხდება ძლიერი შეძახილი, უცეზიციური რამ დიადი მოვლენა, რო ბნელში გზად მიმოვალნი შემოკრებენ და სწორე გზით წავიდნენ... იქნება დღეს გზა დაბნეულ სომეხთა თვისაც ა. არაქელიანის მკვლელობა ეს ძლიერი შეძახილი იყოს, დიადი ციური მოვლენა, რომელიც მათ დაფიქრებს და სწორე გზაზე გაიყვანს მზიან დღის შესაგებებლად... თუ ეს მოხდა ა. არაქელიანის ვერაგულად დაკარგვა ისე სამძიმო აღარ იქნება და სახელი მისი მუდამ ანთებულ კანდელ-ტარივით გაანათებს..

ერის დახსნა უსისხლზვარაკოდ არა ხდება ხოლმე და აჰა, ა. არაქელიანიც ერთი წმიდა ზვარაკათაგანია. უკვდავი იყოს ხსენება მისი...

იოსებ იმედაშვილი

ქორწილი

გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ №10

სურათი მესამე

კნ. სიდონია ქვრივის კარმიდამო ქართლში. ორ სართულიანი სახლი, მოძველებული: სახურავ—ჩამოლპობილი, კიბე-დარღვეული, იატაკი—ჩაშლილი. მოშორებით სასიმინდე, გომური, წყარო, ერთ კუთხეში ძველი პატარა ეკლესიის ხავს-მოდებული გუმბათი, მის წინ ორ-კაპა ბოძი სამრეკლო ზარით. აივანზე ხალიჩებია გადმოფენილი, სადღესასწაულო ელფერი, მზიანი დილა, მექორწილეთა ზეიმ-გართობა. ეზოში მეფანდურე თავკაცობს. სალამური და საჭიდაო სიმღერა, შიგა და შიგ ყიჟინა და შეძახილი. ჯგუფ ჯგუფად სდგანან: ქართლელნი, კახელნი, იმერელნი, მეგრელნი, სვან-აბხაზნი, თუშ-ფშავ-ხევსურნი, ინგილონი. ქალნი და კაცნი ყველა კუთხური სამოსით. ტიტიკო კახელი, ოთარ ქართლელი, ჭიდაობა გახურებულია.

ერთი პირი მოსიმღერეთა.
ჭერი ბიჭო მარჯვეთა,
მუდამ იყავ გამრჯეთა.

მეორე პირი მოსიმღერეთა
მუდამ იყავ გამრჯეთა,
თავს თავის გამგეთა.

ერთად. გამარჯვება თუ გინდა,
მუდამ იყავ გულწმინდა!

ზეფან. ჭირიმე თქვენი, ბიჭებო,
ყველაში გამოწრთვნილებო!
(მოჭიდავეებს კაშველებს).
კარგა ხანია ჭიდაობთ,
ერთიც მეორეც წინაობთ!
ვენაცვლე თქვენსა დედასა,
მტერი ვერ გნახავთ ქვეყანასა!
(მოჭიდავენი ერთმანეთს გადაჭიტინან)

ტიტ. ჯანუმ ქართლელო, მკვიდრი ხარ,
ფეხი ვერ მოგაცვლევინა!

ქართლ. ფალავანს მხარზე ხელს დაჭერავს.

ოთარ ქარ. მიქებდენ კახელ ფალევანს,
სწორედ რომ თავი იჩინა,
ცოტად ფიცხია, მაგრამ კი
შესაშურია მტრისთვინა!

ხელს დაჭერავს კახელ ფალევანს და სუთ მანეთიანს აჩუქებს.

ერთხმად. ორივ კარგი ხართ, კარგები,
შესაშურველი მტრისთვინა!

იმერელი. კახელო, სმაში გაქებენ,
იმარჯვებ თურმე ღვინითა!

კახელი. არც თუ მაგდენად, ძმობილო,
ჩაფით ვსვამ, განა პინითა,

იმერელი. ჩაფითო?—კაი მოგივა,
მაშ სიბრძნეც დიდი გექნება.

კახელი ერთი უსწავლო კაცი ვარ,
სადა მაქვს თქვენებრ შეგხება.

იმერელი. კახელო, გული შიგნით გაქვს,
გეტყობა ლაპარაკზედა.—
ერთს გეტყვი გამოცანასა,
აბა მომიგე ზეაზედა.

ხალხი შემოჯგუფდება. ყურს უგდებენ.

კახელი. ბრძანე და ღმერთი დიდია,
ყოველი მასზე ჰკიდია.

იმერელი კახელო, თვისი ყვარული—
მაბედნიერე ბარისო.

კახელი ჰმ სიყვარული, შენ ბრძანებ
ბედნიერება არისო.
მაგაზე უკეთესობა
ვერ ვნახე ვერა გვარისო,
დამძალა ერთ ობაშია
შევიქენ მონა ჯვარისო.

იმერელი აფერუმ ძმაო მიგიხვდი,
ეგ შენი სიტყვა ბაშია:
შენ ბრძანებ ტკბილი ქართულით,
რომ ძალა—ერთობაშია!

საერთო ხმა. ვაშა, დიდება თქვენს მშობელთ,
შეჰფერით ვითა ძმა—ძმასა!..

იმერელი და კახელი გადაეხვევიან და გადაჭიტინან ურთიერთს. მოისმის გურული სიმღერა ხალხი მიიტქერებს.

ტიტიკო. აჰა, გამოჩნდენ გურულნი,
მოდიან ჯირით-მღერითა!..
შეხეთ მათ ცხენოსნობასა,
კაცი ვერ გაძღეს ცქერითა!..

ოთარი. ვენაცვლე თქვენსა სიმკვირცხლეს
მზის სხივებს ეთამაშებით,
სწორედ რომ სანუკვარი ხართ
საჭურველით და რაშებით!

ხევსური, მაართლაც რომ კაცი-კაცათ ღირს,
ნასროლს ვერ ნახავ გამცდარსა.

იმერელი. ბოჰ, ბოჰ, ბოჰ! შეხე რა სწრაფად
თასი აართო ჭანდარსა.

სიმღერა გურულთა თანდათან ახლოვდება, მძღავრდება

გურული მგზავრული ანუ მაურული.

ოთარი. მათია თასი ოქროსი,
რაშიც თვის მოკაზმულობით.

გურული. სალამი აქა მბრძანებელთ
შეკრებილთ ძმური გულობით
გულრულთ სიმღერა ორ სართულიანი ტეკვით
გურული სიმღერა მთვარე მახლავს ღამითა,
ღღით მზე მიდგა თვალწინა,

იმას ვეტრფი ყოველ წამ,
ვინაც გამომაჩინა.
ოდელია, დელასა,
ჩაგრულთ მივცემთ შველასა.
ერთი მუჭა მიწა მაქვს,
ცის ქვეშეთსა შეეხარი.
ყველას შვება თან მომაქვს,
ძმაო, მომეც შენც მხარი.
ოდელია, დელასა,
ჭირსა მოვჭამთ ყველასა!..

საერთო მოწონება. მოისმის თოფის ხმა თითქმის ზედიზედ სალხი გაიტქარება. ცოტა ხნის უკან შემოდიან აჭარელნი. წინ მოუძღვის გოდა ინუ.

გოდა ინუ მიზანში ესროლა აჭარელთ
წინად მომენოდა ჭორადა,
ახლა დავწმუნდი: მან ვაშლი
ტყვიით გააპო ორადა.
შემდეგ თავის ძმას თავზედა
კვერცხი დაადო სწორადა,
ესროლა თოფი, აართო,
ვით მოვლენოდეს ქორადა, —
და ბოლოს საცერულშია
უეკრივ საზრიანადა,
გააწუწუნა ტყვია და, —
სიათა ფარიანათა
ჯილდოთ მივართვით სახსოვრად,
იხმაროს სრფიანადა.

ოთარ. ქარ. გენაცვლეთ აჭარელებო,
სისხლით და მოდგმით ჩვენებო,
მუდამ ჟამს საყვარელებო,
გმირობით გამომჩენებო,
გიქებენ ომს და ცეკვასა,
სიმღერას ჩვენებურადა,
აბა, თამაშიც გვიჩვენეთ
თქვენებურ ძველებურადა.

აჭარელი. პირველად ვმადლობ უფალსა,
ყოვლის გამჩენს და წამყვანსა,
ხანდისხან ძმათა გამთიშველს
და ბოლოს ერთად მომყვანსა.
ეს თქვენი ზეიმ-ქორწილი
ჩვენთვისაც სიხარულია.
ვინც, ძმაო, თქვენ მკერდს მოცილდეს
იყოს ღვთისაგან კრულია!
აბა, ბიჭებო, დავიწყოთ
ჩვენებურ აჭარულადა
გურულო, მოგვყე ფერხულში,
ზნით ხომ ერთი ვართ სრულადა..

ცეკვა ხორუმი

აჭარელ გურ. აბა, ჰედა ერთადა,
ნურვინ გვინდა ღმერთადა.
აბა, ჰე-და ერთადა,
ჩვენ თავს ვახლდეთ მზვერადა.
აბა, ჰედა ერთადა,
არვის ვყავდეთ მტერადა.
აბა, ჰედა ერთადა,
ნურვინ ჩაგთვლის შტერადა,
აბა, ჰედა ერთადა,
ჩვენი გვსურის ჩვენადა...

საერთო მოწონება ვაშა-ტაში

ოთარ. აბა, ვინძლო, ქართლელებო,
და თქვენც ძმანო კახელებო,
არც ამაში შემარცხვინოთ,
მაყრიონი მოვ ლხანოთ.

ქართლ-კახელთა ფერხული

ქართლელ. ბიჭო, გული მტკენია.
კახელნი. მითც ნუ მოგიწყენია.
ქართველ. ბიჭო, ბევრი ვეწამე,
არა წყალობს ზენა მე!
კახელნი. წავა ტანჯვის დღენია, —
მომავალი ჩვენია.

ფერხული თანდათან ხურდება

ქართლ-კახელნი. ჰალალალე, ვალილე,
სიცოცხლე მე, მაცალე.
ჰალალალე, ვალალე,
გოგოვ რისთვის გამცვალე.
ჰალალალე, ვალალე,
მნახე ხოლმე მალმალე.
ჩვენი ქვეყნის მზე მთვარე,
იყოს ჩვენი მომხმარე.
ტკბილ სამშობლოს ეს არე
იყოს ჩვენი სამარე,
ჰალალალე, ვალალე,
მტერი ნუ გვაცალცალე,
სიყვარულის უფალო
ერთმანეთს დაგვანაცვლე.

საერთო მოწონება ვაშა-ტაში.

ოთარი. გენაცვალეთ თუშ-ფშავ-ხევსურნო
საქართველოის ლომ-გულნო,
კიდევ გვსურს თქვენი გმირობა,
ბრძოლაში გამოცდილობა.

თუშ-ფშავ-ხევსურნი კენწლაობენ ხმლებით. შესაფერი მუსიკა საერთო მოწონება.

ტიტიკო. ჯერი თქვენზეა რაჭველნო,
ლეჩხუმელ-აფხაზ-მეგრელნო,
რაჭველნი. ჭი, გეთაყვანე აქა ვართ,
ყველგან ყოველთვის მზათა ვართ.
აბა, ბიჭებო, ფერხული,
არავინ გვნახოს ფერკრული.
ქალებო თქვენაც ჩაებით
ცეკვაში მარჯვეთ, სიმღერით.

იოსებ იმედაშვილი

გაგრძელება იქნება

ხელოვნება რელიგიაში

ადამიანმა რელიგიას მაშინ მიჭმართა, როცა საქმეო, ქვეყნიურმა, ხორციელმა იგი ვერ დააკმაყოფილა, როცა სულიერ ცხოვრების აზრი ვერ ჭეშვა აქ და სასოწარკვეთილებას მიეცა. ამ დროს მან ზეციერკენ იწყო ცქერა, მოინდომა დიდი სიიდუმლოების ეოფნა. არ ეოფნის მდგომარეობისთვის ფარდა აეხადა ამისათვის სულიერ იყო გაქვეული ზეციერკენ, ქვეყანა მიეტოვებია ერთი სიტყვით მოინდომა ადამიანმა ცა ქვეყანას შეა გზა და ხიდის კიდება. შესძლებდა კი ის როგორმე დაახლოებოდა ზეცას? აქ მაშინ დაბერდაბერდენ ორი რამ. მატერია და სული. ადამიანი თან და თან ქვეყნის ზედაპირს მოშორდა, ავიდა ზეგით, გონებით ამაღლდა ზეციერკენ. მასალად ცა და ქვეყნის დასაკვეში რებლად ურთიერთ შორის, ხხვათა შორის, ადამიანმა გამოიგონა ხელოვნება. ხელოვნებამ უნდა გამოსახოს სინამდვილე; იგი უნდა ემსახურებოდეს და ექვემდებარებოდეს ამ სინამდვილეს. არჩილ ჯორჯაძე ხელოვნებას ასე განმარტავს: „ხელოვნება მართლაც დაჰსახავს სინამდვილეს, ხოლო მის ბიერ დასახული სინამდვილე არასოდეს არ არის ფოტოგრაფიული ასლი (ხაზი ჩვენია) რეალურ სინამდვილისა. ხელოვნება არასოდეს არ არის მარტოდ ის, რაც არის სინამდვილე, არამედ ზედმეტი რამ, რაც სინამდვილეში არ არის!“

დ. ნ. ტოლსტოი ამბობს: „ხელოვნებას აზრად ჰქონდა გამოეწვია ადამიანში ღვთისა და კაცის დამოკიდულების ახსნა. ხელოვნება, გარსაკუთრებით დრამატიული ხელოვნება, რომელიც თავისთვინ მოითხოვდა დიდ სამზადისს, ხარჯს, ღვაწლს, ეოველთვის რელიგიოზური იყო“.

რელიგიოზურმა ხელოვნებამ თავი იჩინა ებრაელების გარეგნულ ღვთის მსახურებაში. როცა ებრაელებმა დიდი ხნის ძებნის შემდეგ დაინახეს ღმერთი სინას მთაზე ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მეორმოცდა ათე დღეზე ელვა-ჭექა-ქუხილში, ღმერთმა მოსეს გადასცა ამ მთაზე ორი ქვის ფიცარი, რომელზედაც დაწერილი იყო ათი მცნება.

ცა და ქვეყნის დაახლოებისთვის საჭირო შეიქნა კულტის შექნა: ტაძარი, მათი მსახურნი და ღვთის მსახურება. ტაძარი ბირველ ხანებში მოძრავი, გაიეოფებოდა ესმ ნაწილად: ეზო, წმიდა თა და წმიდა წმიდათა. ეზოში ებრაელები იდგენ ერთლოცვად, წმიდათაში მდგომლები ლოცულობდენ და წმიდა წმიდათაში იდგა სჯულის კიდობანი. რამ დემიმე ხნის შემდეგ მეფე სოლომონი აგებებს დიდებულს უძრავ ტაძარს შესანიშნავ სიმდიდრით და ხუროთ-მოძღვრებით. ღვთის მსახურების ადმსრულებელნი ბირნი იყვნენ: ლევიტელი, მღვდელი და მღვდელმთავარი, რომელნიც განირჩეოდნენ ერთმანეთისგან შესამოსლით და მოვალეობით მაგ. მსხვერპლის შეწირვა. მგოსანმა მეფე დავითმა შეადგინა ფსალმუნთა კრებული, საგალობლებში, რომლებსაც გალობდენ წინწაბაზე, ებანზე, ბობღანზე და სხვა და სავა სამუსიკო იარაღებზე

გადავიდეთ ახლა ქრისტიანობაში. ქრისტიანობაშიც ხელოვნება იყო ღვთის მსახურება ტაძრეგში. ხანდისხან სრულდებოდა საიდუმლოება და ჩვეულებრივ ლიტურგია — წირვა. შემდეგში, როცა ამ ღვთისმსახურების ხელოვნების ფორმები არ კმარდა, გაჩდენ მისტერიები 13 და 14 საუუნეებში მისტერიებს სცენის ახალ-ახალი ფორმები,- მორალურ დრამატიული წარმოდგენანი, ალეგორია. ცნობილია, მაგალითად, რომ დღესაც ერთ ერთ სახემწიფოს სოფელში განსაკუთრებულ დროს გარეგ, ცის ქვეშ წარმოადგენენ ხოლმე დრამას იესოს ცხოვრებიდან და მომქმედნი ბირნი არიან: ქრისტე, ქალწული მარიამი, იუდა და სხვანი. ამ წარმოდგენაზე აუარებელი ხალხი ესწრება ხოლმე.

ხელოვნების დარგია საზოგადოთ ოთხი: პოეზია, მხატვრობა, ბალეტიკა და მუსიკა. ღვთის მსახურებაში მკაიფოთ არის ეს ოთხივე დარგი: ერთია საღვთო წიგნებში, მხატვრობა — ღვთის-ქრისტესი, მარიამის სხვა და სხვა წმიდათა ნახატები, ბალეტიკა — ტაძრები, მათი ხუროთმოძღვრება, განსაკუთრებით ქართული თვისის ხვეულებით, ფნული — ჩუქურთმებით, ფრესკებით, ორნამენტებით და ეველაზე უფრო, რომელზედაც მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, თვალსაჩინოა მუსიკა.

ყველა ერებზე უფრო განვითარებულია ქართველებში ხელოვნების ეს დარგი მუსიკა. ჯერ კიდევ 10-12 საუკუნეებში მიქელ მოდრეკილები სასწაულებს ახდენდენ თვისის კალობით და რაცა საკუთარის გზით იწყო საიერული ჩვენმა ეკლესიამ, მას შემდეგ ხომ ბროგრესიულად ვითარდებოდა მუსიკა. ქართველ ერს ჭირსა და ლხინში, შიგნით და გარეთ, გზაში და ტყვეობაში ეველგან, ეოველ

თვის სხვა და სხვა, შესაფერისი სიმდერა-გალობა ჭქონდა.

ეი იგივე ჯორჯაძე რას ამბობს ქართულ მუსიკაზე: „ქართული მუსიკა განსაკუთრებით ჭსახავს სიცოცხლის ირაციონულ სახეს. ბემ ლები და დისონანსები ირღვევს კონკრეტულ ფორმის ინდივიდუალობს, სანდვარ დაუდუდებელ სამეფოსაკენ გიზიდავენ. ხოლო გალობის ბოლოში ხმის მაღლა აყვანით და გალობის უცნაურად, მოულოდნელად უნისონით დაბოლოებებით მუსიკური აზრი თითქმის სასოწარკვეთილებას გამოსოქვამს შეუგნებელ საზოგადოების წინაშე“. მუსიკა გაბურობს და უფრო გასაგები ხდება სახარების ის აგიდი, სადაც შოთ ხრობილია სულის ტანჯვა და მწუხარება (იოან. 15, 16 17), „რამეთუ არა სოფელისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან, ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა“. ეი ეს წინად მდგომა ხორცისა და სულისა მწუხარებით აგსების აღაშიანის გულს.

საქართველოს ეკლესიასთან უფრო დაკავშირებულია ორი დარგი ხელოვნებისა, მუსიკა და ხუროთ მოძღვრება. საკირო ამისათვის, თუ გვინდა ეკლესია ეკლესიობდეს და, აკაკის არ იყოს, ფარები უხმობდეს ერს: „მოდით მოდითო და არა წადით“, როგორც აქნამდინ ყოო,—საეკლესიო კულტის გამშვენება, საეკლესიო გალობა გარეითარება და ძველი ტაძრების აღდგენა-განახლება.

ეს ჩვენი ბატარა სუსტი წერილი გამოწვეულია იმ ღრმა შთაეკლილებით, რომელიც ჩვენზე მოახდინა (და მგონი არ შევცდეითუ სხვების მაგივ რადაც ვიტყვი) 7 კვირიობისთვეს სიონის ტაძარში სრულიად საქართველოს პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კირონ მეორის დაკრძალვის დღეს კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის კუნდის განგებ იმ დღისათვის შედგენილის „სულთა თანას“ გალობამ. ეს გალობა თქვენ ამ ბინძურ ბოროტ ქვეყანას გაძღულებდათ და შორს კამკამა ცის კამარაში გიწოდებთ, სადაც არაა „არცა ჭარი, არცა მწუხარება, არამედ სიხარული იგი დაუსრულებელი.“

ეოველივე დარგი ხელოვნებისა ჯერ ან გადაუთვალიერებელი გაუფურჩქნელია, ან ასლა იწყებს ფეხის აგმას, წელში გამაგრებას. ასევ სიმდერა-გალობაც. უნდა გადაღებულ იქნეს ნოტებზე და ჩაწერილი ძველი სიმდერა და საეკლესიო გალობა უფრ ოს. ეკლესიის ერი გაურბის, დროა ჩვენი ეკლესიის სათავეში მეოფთ მიაქციონ ამას ყურადღება და ეს კი მაშინ მოხდება, თუ მუსიკას ის აგდგილი ეკავება ჩვენ ეკლესიაში, როგორიც ჭქონდა მასწინად, ანა და ისეთ პირობებში ჩაგდება, როგორშიაც სასურველია იყოს.

კ. გეელი

პროვინციის მოღვაწენი

სცენის ნოყვ რე ვანო კაკაბაძე

ვანო კაკაბაძე ითვლება ერთ საუკეთესო სცენის მოყვარეთაგან თელავში. იგი პირველად სდენაზე გამოვიდა ამ ოცდა ათი წლის წინეთ და მას აქეთ ერთგულად და დაუზარელად ემსახურება სამშობლო სცენის აყვავებას,

იშვიათი წარმოდგენა იქნება, ვ. კაკაბაძემ მონაწილეობა არ მიიღოს და ძრიელ ხშირად უმთავრეს როლების ასრულებაც უხდება. სხვათა შორის ეხმარება ხოლმე თბილისიდამ ჩამოსულ ქართ. დრამატიულ დასის მსახიობთ სარმოდგენების გამართვაში, მაგრამ უმთავრესი მისი მონაწილეობის მიღება გამოიხატება საქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგენებში.

საზოგადოდ პროვინციაში და კერძოთ თელავში თუ იმართება სარმოდგენები, უფრო საქველმოქმედო მიზნით, რომლის მეოხებით არსებობენ და განაგრძობენ ნაყოფიერ მოღვაწეობას აქაური საზოგადო და საქველმოქმედო საზოგადოებანი და სწორედ აქ, რამდენათაც-კი შეუძლიან ეხმარება ამხ. კაკაბაძე სცენაზე მონაწილეობის მიღებით.

ამისათვის თელავის სცენის მოყვარეთ მსახიობ ქ-ნ. ბეჟანიშვილის, დ. აწყურელის პ. კორიშელის ბ, ახოსპირელის და რუისპირელთს მონაწილეობით 8 ივლ. გაუმართეს საიუბილეიო წარმოდგენა, რომელზედაც ხალხი დაესწრო,

წარმოადგინეს ,, და-ძმა'' ვაიოზის როლს თვით კაკაბაძე ასრულებდა.

იუბილარს, სხვათა შორის, მიულოცეს ქალაქის და სომხის საზოგადოების წარმომადგენლებმა მიართვეს საჩუქრები.

დავიწყებული

მარიამ მაგდალინელი

მას უყვარდა სიყმაწვილით სავსე ახალგაზრდობა. შთრთოლვარე გულით, ვნების ზღვა სისხლით, ალისფერ ტუჩებით, მზეებრ მოყვარე სასონით და ყველა ასეთებით ლტოლვილი სიყვარულისადმი ახალგაზდებში ის არჩევდა სქესობრივის მხრივ დაუღალავ გმირს, ტრფიალების ცეცხლით ანთებულ ვაჟს, უყვარდა ასეთები და მათთან დარჩენის დროს მთელი არსებობით, გრძნობა-გონებით თავდავიწყებამდინ ინთქებოდა ვნების სურვილით გაბრუებული მოსიყვარულეს მოზიდულ შკლავებში, იმას უყვარდა.

ისიც უყვარდათ, მაგრამ იგი მაინც ვერ სძღებოდა სიყვარულით. მისი სხეული, როგორც სანათი, ცეცხლს თხოულობდა. იგი სულ მზად იყო სიყვარულისთვის: სულ ენთო, ჰღუოდა, ალ-მური ასდიოდა, იწვებოდა, იფერფლებოდა და არ იწვებოდა, მისი გული სულ ღელავდა, თრთოდა, ცახცახებდა, ვნების სურვილით დუდდა გადადუდდა. მისი ბაგენი სულ ამბორს თხოულობდენ, ხვევნას, ღვთიურ ალერსს, ვნების სიმთვრალეს, წუთით დავიწყებას და განსვენების შემდეგ რომ გაიღვიძებდა, კვლავ ცეცხლი ედებოდა, სურვილი უახლდებოდა, სიყვირულს, ალერსს, ხვევნა-კოცნას თხოულობდა. იგი ლამაზი იყო. ნაზი, ნარნარი, ტკბილ მოსაუბრე, ენა წყლიანი- ის ჰგავდა ცის ფერ ას მზის სხივებში მცურავს.

ვინ არ იცნობდა მას ურიასტანში? ყველა. იერუსალამის მაშინდელი დიდკაცობა: მდიდარნი, ცხოვრებით გალაღებულნი, ბედნიერნი; მაგრამ იმას სიმდიდრესთან ხომ არა ჰქონდა საქმე?..

იმ დროს იერუსალიმში რომაელების მთავრობა შეფობდა. ებრაელებს სძულდათ უცხონი, ურჯულონი, როგორც ისინი ეწოდებდენ მათ და საერთო მათთან არა უნდოდათ რა, მაგრამ მაგდალინელისათვის სულ ერთი იყო: ყმაწვილი ასირიელი იქნებოდა, ბაბილონელი, ეგვიპტელი თუ რომაელი, ოღონდ შესძლებოდა სიყვარული.

და მიუხედავად უცხოთა მძულვარებისა, ერთ საღამოს ის შეხვდა რომაელ ასისთავ რუფს. მოიწონა ის. გაეცნო და გაჰყვა. იმათ ისეირნეს დაბინდებამდინ. რომ დაღამდა, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დაიძრენ და აღმოსალეთის ნათელ მთვარის სხივებით მოოქრულ გეთსიმანიის ბაღის ხეივანში შესრიალდენ, ჯადოსნურ მდუმარებით გარემოცულ შტო-ფოთლებში მიეფარნენ, და ერთ ალაგს ბაღის სიღრმეში ახლო მოჩუხჩუხე შადრევნის გვერდით მარმარილოს ქვის საჯდომზე ჩამოსხდენ. უშრეტ სიყვარულის მეუფე მაგდალინელმა, სანამ რუფი მას მიიზიდავდა, გაუშალა ჰაეროვანი გულმკერდი, გაუხსნა სავანე სიყვარრლისა, ჩაიკრა გულში გაჰვხია ათრთოლებულ გულის კოკრებში. ვნების ცეცხლით გაალმურებული ბაგენი მიაწება ვნებითვე აღელვებულ ყმაწვილს, ვნება-აშლილს და თავბრუ დამხვევ ტრფიალების დასასრულ ღვთიურ უტკბეს გრძნობით, მიითვლიმეს... წუთი და გაიღვიძეს. კვლავ სიკოცხლე დაუბრუნდათ. და დაამებული სხეული რომ აამოძრაეს, იგრე იგრძვნეს თავნი თვისნი, თითქო ღმერთების სა სუფევლიდანდარუნებულანო. მაგდალინელის ეთერო ვან შუბლს, რომელსაც აშვენებდა თმის კულულები, ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ვნებით წარმომსკდარი ოფლის ცვარ-ნამი და სასიყვარულო მთვარის სხივები ისე გარჩევით აშუქნარებდა თვითეულ მარცვალს, თითქო საზღაპრო ებრაელის ქალს საამურმა ღამემ საოცნებო გვირგვინი უძღვნაო. უცხოელი განცვიფრდა მისი ეშხით. სიგიჟემდე მივიდა მასთან დარჩენით, წაყინებული ამბორით მიიწვინა გულზე მაგდალინელი და მიჯნურის ალერსით ჰკითხა:

—მითხარი, მშვენიერო ასულო. ვინა ხარ, ცისა თუ მიწის?

მაგდალინელს ამ დროს კვლავ სურვილი გაეღვიძა, ამურისებურ შუბლზედ ეთეროვანი ხელი გადის; ვა და ის ის იყო უნდა გადახვეოდა რომაელს, რაღაც წინაგრძნობით შედგა, მხიარული სიცილი აუვარდა, დაუდო თავი რუფს მუხლებზე, მიაპყრო თვალები მას სახეში და დაიწყო:

—მე მზის ასულს მიწოდებენ, მთვარის ქალიშვილს. ჩემი დედ-მამა მზე და მთვარეა, მოციმციმე-მოკამკამე ვარსკვლავთა კრება ყველა ჩემი ძმებია. ლიბანის მთების ნიავ-ქარი ჩემი სუნთქვაა. იორდანის ნაზი ჩქრიალი ჩემი ენაა. ჩემი ძილი ღამეა, გამოხედვა დღე, ჩემის ღიმილით მზეს სხივებს ვუკარგავ, მთვარეს ვაბნელებ. ერთის სულის წაბერვით გავაქრობ ცაზე ვარსკვლავებს, სულ არ დავტოვებ არსად ერთ მნათობს. იერუსალიმის ახალგაზრდობა ჩემი მონები არიან. მე მათი ღმერთი. მე მარიამ მაგდალინელმა ვსძლიე კაცები, ვისაც გრძნობა აქვს სიყვარულისა. სადაც ცხოველია მზე, იქ ძლიერია სიყვარული. მე ვარ დილის ცვარ-ნამი, იერიოქონის ყვავილთაგან ნადენი, არშიყ ნიავისაგან გადმონადენი. მე ბეთლემის ღვინოზე მათრობელი ვარ, იეოღვას სასმელზე უტკბესი. ვინ არ შეიყვარებს ებრაელის ქალს, ეს დიდებაა საისრაელოსი, ეს ცისკარია აღმოსავლეთის, სიცოცხლეა, მშვენიერება, ხმატკბილი ებრაელის ქალისა, როგორც იადონის კვნესარაკრაკი ქორფა ვარდის ყლორტზე. გეთსამანიის ბაღის სიღრმეში იგრე ლამაზათ ისმოდა. მაგდალინელის ჯადოსნურ ხმაში მთელი მსოფლიოს სიმღერა გამოიხატებოდა: სიმღერა, სინათლე, ჰარმონია. პოეზია მშვენიერი სიყვარული.

ჯერ არ გეთავებინა მას ლაპარაკი, რომ შეჩერდა. მან იგრძნო ბაღში რაღაც შრიალი. რუფი ამას ვერ აჩნევდა. მოხვია ხელი მაგდალინელს გულზე მისაკრავათ, კვლავ რომ დაეტკბო ვნება-სურვილით აღტყინებული სხეული მასთან შეხებით. მაგრამ მარიამ მაგდალინელმა ხელის გაქნევით რუფი უარჰყო. ოცნების სვეტივით აიშალა. ზეზე წამოდგა და ყურიამ დროს მთვარე გოლგოთას ამოეფარა-ბაღი ნათლიდან მიიჩრდილა, მაგრამ ქალმა გეთსიმანიის ბაღის ხეივანში აღმოსალეთის მხრივ სულ სხვა სინათლე იხილა. ხე-ფოთოლთ შრიალში შვიდფეროვანი ნათელმა გაიელვა. ნათელში ღვთაებრიჟი, ზეკაცის სახემ გამოაშუქა rგი იყო სათნოებით აღსავსე ათ-ორმეტთა თანახლებით. გამოაშუქა, გამოჩნდა და ოცნებასავით მიიჩრდილა. საიდუმლო ერებული საიდუმლოდ გადიოდა ბაღიდან.

—„ნუ თუ ნაზარეველიო,—აივლო გულში ცოდილმა; დაუტევა რუფი, პირველად და უკანასკნელად დაჰგმო ხორციელი სიტკბო, სიბილწე, ნაყოფიერება, სიარული, სიმრუშე და ხმანებისამებრ ტკბილ ჩენებას

გაჰყვა კვალდაკვალ შორი-ახლო. როცა ჰპოვა სინათლე, კავნი დაიშალა, ცრემლთა ფრქვევით, ღაწვთა ხოკვით დაეცა მის ფერხთა ქვეშ. მდუდარე ცრემლებით დაჰბანა ფეხები მშვენიერ იესოს. და შეუმშრალა იგი დაშლილ კავთა სუბუქ ტევრით, ეპატია მას ცოდვანი თვისნი. შეიყვარა საყვარელი მასწავლებელი. და იყო ერთგული მისი ვიდრე გოლგოთამდე.

ევგენი ფურცხვანიძე.

საქართველოს განთავისუფლების ბოლოვაწმი
(1832 წ. ,,ფარული საზოგადოება'')

[შემოკლებით გამოწერილი ჩემის ვრცელის ხელნაწერ.]

,,ფარულ საზოგადოება''-ს აქვს მეტად საინტერესო ისტორია. საყურადღებოა იგი ჩვენთვის ბევრი მხრით. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ის გარემოება და პირობებიც ის დიადი და მასთან მეტად ძნელი საქმე რამ წარმოშობა ქართველებში, რა გახდა ამის მიზეზი რომ ქართველებმა ასეთი საქმის განზრახვა და შესრულება გაბედეს. როცა ეს გვეცოდინება მაშინ „ფარული საზოგადოების'' მოღვაწეთა პირებს უფრო უკეთ დავაფასებთ იმ ,,ფარულ საზოგადოებისა. რომლის წევრნიც მოღვაწეობდენ საქართველოს განთავისუფლებისათვის. ამიტომ მოგვყავს ამის მიზეზები აქ სულ მოკლედ და მარტივად.

საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა 1783 წ. ამისთვის ორსავ სახემწიფოსაგან ტრაქტატიც დაიწერა. რუსებმა ქართველებს კარგი პირობა მისცეს, მაგრამ პირობის მიცემის შემდეგ. რუსებმა პირობა მალე დაარღვიეს და ამით ქართველნი დარჩენ მოტყუებულნი. ასეთი მოტყუილება რუსებმა ქართელებს არც შემდეგ აკმარეს: ამათ ისურვეს ქართველი ერის და საქართველოს სრულიად დამარხვა, ქართველი ერის ხელში ჩაგდება. 1801 წ. ესეც მოახრხეს. ამ დროსაც რუსები ქართველებს ჰპირდებოდნენ ბევრ სიკეთეს, მაგრამ ახლაც ქართველნი მოტყუებულნი დარჩენ რუსთაგან.

ამ მოტყუილებისთვის რუსეთის მთავრობა ძლიერ კარგათ მოემზადა. ამისათვის მან ქართველთაგან შინად გამცემნი და მოღალატენიც იშოვა, რომელნიც ასწავლიდენ რუსებს ყველა ოსტატობას, თუ ქართველნი საიდამ როგორ უფრო ადვილად მოტყუვდებოდენ. ასეთი იყო გარსევან ჭავჭავაძე. უამისობა რუსთაგან არც შეიძლებოდა, რადგანაც, რავდენადაც ქართველთ შორის შეერთების მომხრე და მონატრული იყვნენ, მოწინააღმდეგენიც, რომელნიც რუსთა ერთობას დიდათ ეკრძალებოდენ. ასეთი იყო სოლომონ ლეონიძე. მოღალატეების რიცხვიც დიდი იყო და უმეტესათ კი რუსთაგან შესყიდულნი ჩინებით, ფულით და შიშით. მასთან სოლომონ ლეონიძის მომხრეთა რიცხვიც არ იყო მცირე. მაინც ბოროტმა სძლია კეთილს, ბოროტმა გაიტანა თავისი ალო და საქართველო ჩაუარდა რუსეთს ხელში მონად ისეთ დროს, როცა დამონებულიც-კიუნდა განთავისსუფლებულიყო.

ეს დრო და ხანა არის მე-19-საუკ. დამდეგი როცა ევროპაში დამონებულებს ანთავისუფლებდენ. ამ მონებასაც ჰყვანდა ქართველთაგან წინად მგრძნობელნი და მყვედრებელნი, მაგრამ გამგონი აღარავინ იყო. ასეთ მგრძნობიერ პირთაგანად ითვლება იმ დროის თბილისის კათოლიკეთა პატრი ნიკოლა ჯერედ რუსებს საქართველო ხელში ჩაგდებული არ ჰქონდათ, რომ ერთ დროს' საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. ამათ მეფე გიორგისთვის დახმარება უნდა მიეცათ „ნიახურის ომისთვის''.

ამ რუსის ჯარის თბილისში შემოსვლის დროს, საბურთალოზედ მეფე გიორგი მიეგება მთელი თავის მოწინავე კაცებით. ამათშივე იყო პატრი ნიკოლა. რუსის ჯარმა მეფე გიორგის დანახვის დროს, ჯერეთ ბარაბანი დჰკრა და მერე მუსიკა დაუკრა. მეფე გამხიარულდა. და ფრანგის პატრს მიმართა ასეთი სიტყვით:

—პატრო, იმედია, დღეის შემდეგ, რუსის ჯარის დახმარებით, ჩვენ მტრები ვეღარას გვიზამენ. პატრმა მოისმინა მეფის სიტყვა ღა მწუხარებით მიუგო:

—ბატონო მეფეო, ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხება. ნუ იზამთ თორემ მერე სანანული გაგიხდებათ, რუსნი შემოვლენ მამაშვილურად და მერე გადიქცევიან მამინაცვლად. თქვენს ხალხს დაადებენ დიდ ხარჯს, ხალხი ამის გადახდას ვერ შესძლებს და მერე ამ გადასახადისათვის მათი მამულები გაისყიდება ბარაბანის დაკვრით. ქართველი ერის ცხოვრება ისე მოეწყობა, რომ მათ მკვდრებსაც მუსიკით დაუწყებენ დამარხვას.

პატრის ასეთმა სიტყვამ მეფე გიორგი დიდათ შეაწუხა. მერე მეფემ პასუხი მისცა პატრს:

—პატრო, რა ვქნათ, რომ სხვა გზა არა გვაქვს. მეტი საშველი არ არის; ეს საქმე უნდა შესრულდეს,— საქართველო რუსეთს უნდა შეუერთო.

ამ საუბრის ორი წლის შემდეგ ეს საქმეც მოხდა 1801 წ. საქართველო რუსეთს ჩაუვარდა ხელში მონად.

ამ ჩაბარებისათვის ლოცულობდენ სომხის ვაჭრები, მოქალხქენი და ბევრიც სხვანი. ყველას უხარიოდა, ყველა კანონად სთვლიდა რუსთა შემოსვლას საქართველოში, მაგრამ ბოლოს საქმე სხვანაირად დატრიალდა, ორი წელიწადი მართლაც რუსები ქართველებს ცოტა კეთილად ეპყრობოდენ, ცხოვრებას არ უჭირებდენ, მაგრამ ეს მალე მოსპეს. შესრულდა პატრის სიტყვა,—რუსთა მამაშვილობა მამისნაცელობად გადაიქცა და რუსეთი ქართველი ერის შემაწუხებლად და მდევნელათ შეიქმნა.

ზ. ჭიჭინაძე

გაგრძელება იქნება



მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი

კონცერტებს მართავს 28 ში ვერის, პარკში 31 დემოკრატიულ კლუბში 1 მარიამ. ხარფუხის ქართ. კლუბ.

შიგა და შიგ

საქართველოს რესპუბლიკის შტაის სტამბა, რომელიც წინად იწოდებოდა კავკასიის შტაბის სამხედრო სტამბად, დაარსებულია 1809 წ. თამამად შეიძლება ითქვა, რომ საქართველოში (ამიერ კავკასიაში) არსებულ სტამბათა შორის ეს სტამბა ყველაზე უმდიდრესია, ყოველგვარი მასალა-იარაღით: ელექტრო-სანეტდავებით, ასოთი, თვითმ ბეჭდავ-მკეცავ—დამპრელით, საკაზმავით და სხ. შესდგება ათი დიდი დარბაზისაგან. აქვეა მოთავსებული ასოს ჩამოსასხმელი ქარხანა, მუშათა მოსასვენებელი, სამკითხველო, წიგნთ სავაჭრო, ორი საელექტრონო ძალის მანქანა ა სხ. უკანასკნელ წელში ერთი ჯურის ხალხი თითქოს იმას ცდილობდა ეს სტამბა გაეჩანაგებინა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის შტაბმა დროით მიაქცია ყურადღება ამა წლის ივნისის 17. დან ამ სტამბის გამგედ დანიშნა კაპიტანი ალექსი ივანეს ძე დათიაშვილი, რომელიც ბეჯითათ შეუდგა მინდობილი საქმის გაძღოლას სტამბის მოწესრიგებას დ გაეროვნულებას. ამ გარემოებამ ნაკლები უსიამოვნება არ შეამთხვია დათიაშვილს, მაგრამ იგი მტკიცედ მისდევს თავისი გარდაწყვეტილების შესრულებას საერთო საქმის საკეთილ დღეოდ. იგი უკვე შეუდგა გაეროვნულების საქმეს: ძველი ასოს გადადნობას და ქართული ასოს ჩამოსხმას, მოხელეთა შერჩევას, განკარგ. ქარ. დაბეედა სხ. განჯრახვაა სტამბაში ამუშაონ ორი რიგი მუშები: სამხედრო ვალდებულნი (რომელთაც ყოველ გვარ ხარჯის გარდა მიეცემათ მოგების წილი) და თავისუფალი დაქირავებულნი. ეს სტამბა საქართველოს ჯარის საქმეს დიდს სამსახურს გაუწევს, ოღონდ საჭიროა გამგეს მხარი მიეცეს, რომელმაც სტამბის გაეროვნულებისა გამო ზოგიერთ უკმაყოფილონი კბილებს უკრაჭუნებენ ამ სტამბაზე საზოგადოდ და კერძოდ მის გამგეზე დიდი იერიშები მიჰქონდათ სხვა და სხვა კავშირთა სახელით,—მიზანი ის იყო, რომ სტამბის საქმე დაეღუპნათ, მაგრამ ყოველივე იერიში მოგერებულ იქმნა და სტამბის საქმე წესიერ კალაპოტში სდგება.—საჭიროა საქართველოს ყოველმა ერთგულმა მოქალაქე-მუშამ და ჯარისკაცმა-ამწყობმა სახელმწიფოებრივის თვალსაზრივით შეხედოს ამ სტამბას და გაუფრთხილდეს, რადგან იგი საერთო კუთვნილებაა. **მეთვალყურე**

მკითხველნო!

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ თქვენის ზნეობრივი თანგრძნობით სცოცხლობს, თქვენის ნივთიერის დახმარებით (შემოწირულებით) სურათებით შემკული კარგს ქაღალდზე. ვისაც გსურთ ჟურნალმა პირნათლად შეასრულოს თავისი ვალი, დაეხმარენით. საღამოს, ანუ წარმოდგენის გამართვით, შემოწირულების მოკრებით. შემოწირულება მიიღება რედაქციაში (თბილისი, ბაზრ ის ქუჩაზე, ალგქსანდრეს ბაღის პ-რდაპირ, არჯევანიძის სახ. № 20)

ჟურნა. „თეატრი ცხოვრება“-ს ფონდის სასარგებლოდ მივ ღეთ:

1, რკინის გზის მოსამსახურეთაგან	100 მ.
2, ალ წუწუნავასაგან	—5 მან.
3, დარეჯან ხარაბაძისაგან	10 მან.
4, ტასო ხმალაძისაგან	—5 მ.ნ.
5, ალ ნ.ედელკინის მიერ შეკრებილ	-35 მ

აქედან:

ნინო ტაბატაძემ	—10 მან.
ვასო ბახტაძემ.	—5 მ.
გერონტი ცინცაძემ	—5 მან.
მოსე თალაკვაძემ	—3 მან.
პაშა თალაკვაძისამ	—3 მან.
ილია თალ კვაძემ	—3 მან.
6, სოლომან ბოლ ქვაძემ	—5 მან.
7, სოლომან პარუნაშვილმა	—20 მან.
8, ს მაკვარიანმა	50—მან.
9 სურამის სცენის მოყვარეთაგან	გამართულ
წარმოდგენისა	—200 მან.

(მონაწილეთა სია შემდეგ დაიბეჭდება)

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით. **რედ.**

გამოვიდა „უცხო ხიტყვათა ლექსიკონი“ ხელისმომწერთ თვისი მისამართი გვაცნობონ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**